გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-02-25 **8 მაისი, 2025 წელი,**
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე - თეა ძიმისტარაშვილი (მომხსენებელი),
მოსამართლეები - მირანდა ერემაძე
გოჩა აბუსერიძე

სხდომის მდივანი - მაია ჯინორია

საჩივრის ავტორი - ადვოკატი მ. მ-ე /სიითი №--/

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

წარმომადგენელი - მ. ბ-ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 23 დეკემბრის №1--/19 გადაწყვეტილება

საჩივრის მოთხოვნა - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 23 დეკემბრის №1--/19 გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი:

1. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2019 წლის 5 ნოემბერს საჩივრით მიმართა ა. ბ-ა და მოითხოვა ადვოკატ მ. მ--სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.1 მიმართვის ავტორის განმარტებით, მასა და ადვოკატ მ. მ-ეს შორის 2018 წლის 26 ნოემბერს დაიდო იურიდიული მომსახურების შესახებ N02-13-18 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით ადვოკატს ევალებოდა ა. ბ-ს იურიდიული მომსახურების

გაწევა, საექსტრადიციო სისხლისსამართლებრივ საქმეზე გამოძიების სტადიაზე, პირველ და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში. კლიენტმა ადვოკატს სრულად გადაუხადა წერილობითი ხელშეკრულებით შეთანხმებული იურიდიული მომსახურების საფასური - 5 000 აშშ დოლარი.

1.2 ა. ბ-ს განმარტებით, ადვოკატმა მ. მ-ემ დაარღვია იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების პირობები, კლიენტის ინფორმირებულობის ვალდებულება, გაუწია არაკვალიფიციური, არაკეთილსინდისიერი მომსახურება, რის შედეგადაც ა. ბ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა და ის გადაიყვანეს საავადმყოფოში, კერძოდ, ადვოკატი არ მონაწილეობდა სასამართლო პროცესში და არ გაასაჩივრა სასამართლოსა და პენიტენციური დაწესებულების უკანონო ქმედებები და გულგრილი დამოკიდებულება; არ გამოჰკითხა კლიენტის მიერ დასახელებული შესაძლო მოწმეები; კლიენტს მისთვის გასაგებ ენაზე არ განუმარტა სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის განჩინების არსი, რომლითაც მას შეეფარდა პატიმრობა, მით უფრო, რომ საავადმყოფოში ყოფნის გამო იგი არ ესწრებოდა სასამართლო სხდომას; რომელიც შეეხებოდა საექსტრადიციო პატიმრობის 3 თვემდე ვადით გაგრძელების საკითხს, ადვოკატმა მხარი არ დაუჭირა კლიენტის შუამდგომლობას, რომელშიც რუსეთის ფედერაციის პროკურატურის მიერ წარდგენილი დოკუმენტების სიყალბის შესახებ მიუთითებდა. კლიენტი აღნიშნავს, რომ აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენდა მისი პატიმრობის მთავარ საფუძველს და აუცილებლად უნდა გასაჩივრებულიყო სააპელაციო წესით. ადვოკატის უმოქმედობამ კი, გამოიწვია კლიენტისთვის საპატიმრო ვადის გაგრძელება.

1.3 მომჩივნის განმარტებით, ადვოკატმა კლიენტთან საადვოკატო ურთიერთობა ვადაზე ადრე შეწყვიტა თავისი ინიციატივით, კლიენტის ინფორმირების გარეშე. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ კლიენტისთვის ცნობილი გახდა 2019 წლის 26 აგვისტოს, ადვოკატ მ. მ-ს კოლეგისგან, იურისტ გ. ტ-სგან, რომელმაც თავდაპირველად დააკავშირა ადვოკატ მ. მ-ესთან. თავად ადვოკატ მ. მ-ს ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი კლიენტისთვის არ განუმარტავს. საჩივრის ავტორის განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატის ინიციატივით ხელშეკრულება შეწყდა ვადამდე ისე, რომ მას სრულად არ მიუღია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ადვოკატს გამოუმუშავებელი ავანსი და უძრავი ქონების შეფასების დასკვნისა და სისხლის სამართლის საქმეზე არსებული სხვა დოკუმენტაციის დედნები არ დაუბრუნებია.

2. ადვოკატის განმარტებით, მან შეასრულა კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად აუცილებელი ყველა მოქმედება, კერძოდ, კლიენტს საადვოკატო მომსახურებას უწევდა გამოძიების ეტაპზე; ლ. ბ-სთან ერთად რუსეთის ფედერაციიდან გამოითხოვა და თარგმნა სისხლის სამართლის მასალები, მაგრამ არ წარუდგენია გამოძიებისთვის; არაერთხელ გაასაჩივრა სასამართლოს განჩინება, რომლითაც მის კლიენტს შეეფარდა პატიმრობა; სისტემატურად ხვდებოდა კლიენტს ციხეში, თუმცა კლიენტს მოთხოვნაზე, რომ ადვოკატი მას ყოველ დღე შეხვედროდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, უარი განუცხადა; კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების შეცვლა და მიმართა კერძო ექსპერტიზას პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების მიზნით, თუმცა პენიტენციური დაწესებულების კლინიკამ მიაწოდა ინფორმაცია, რომ მათ შეეძლოთ პატიმრის მკურნალობა და ადვოკატს სხვა

ღონისძიებები არ განუხორციელებია. ადვოკატის განმარტებით, ციხეში მონახულების პერიოდულობასა და სხვადასხვა უწყებაში შესატანი განცხადებების/საჩივრების შეტანის შესახებ კლიენტის მოთხოვნა სცდებოდა ხელშეკრულებით შეთანხმებული მომსახურების ფარგლებს.

2.1 ადვოკატის განცხადებით, საადვოკატო მომსახურების პერიოდში, საჩივრის ავტორმა მის მიმართ არაერთხელ გამოთქვა უნდობლობა და შეიტანა ეჭვი მის კვალიფიციურობაში, გარდა ამისა, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. საჩივრის ავტორი ადვოკატთან კონსულტაციისა და შეთანხმების გარეშე წერდა შუამდგომლობებს სასამართლოში, განცხადებებითა და საჩივრებით მიმართავდა სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოს; მისი ინფორმირების გარეშე, ა. ბ-ა იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით, დაიქირავა სხვა ადვოკატები. მოგვიანებით, მას დაუკავშირდა იურისტი გ. ტ–ი და აცნობა, რომ ა. ბ-ი უარს ამბობდა მისგან იურიდიული მომსახურების მიღებაზე. ამასთან, ითხოვდა დოკუმენტების დაბრუნებას. შესაბამისად, ა. ბ-ის საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, მ. მ-ე აღარ წარმოადგენდა მის ადვოკატს. ადვოკატის განმარტებით, ის გ. ტ–თან ერთად, შეხვდა ლარისა ბ-ას და სრულად დაუბრუნა კლიენტის მიერ გადაცემული და ნოტარიულად დამოწმებული ნათარგმნი დოკუმენტები. მასთან ინახება მხოლოდ იმ განცხადებების, შუამდგომლობებისა და მიმართვების დედნები, რომლებიც მან პირადად შეადგინა და შეიტანა სხვადასხვა ორგანოში კლიენტის სახელით.

2.2 ადვოკატის მოსაზრებით, აღნიშნული დავა, თანხის დაბრუნების თაობაზე არ იყო ეთიკის კომისიის გადასაწყვეტი და, სურვილის შემთხვევაში, საჩივრის ავტორს შეეძლო, მიემართა სასამართლოსთვის. ამასთან, განმარტა, რომ N02-13-18 ხელშეკრულებით შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების გარდა, რომელიც სრულად არ შეუსრულებია, ა. ბ-ს სხვა საქმეებზეც (მათ შორის, საემიგრაციო საქმეზე) გაუწია იურიდიული მომსახურება, რაზეც ზეპირად შეთანხმდნენ. ადვოკატ-კლიენტს შორის საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატს კლიენტისთვის თანხა/თანხის ნაწილი არ დაუბრუნებია, რადგან მას სრულად აქვს გამომუშავებული კლიენტისგან მიღებული თანხა, თუმცა სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით არ უწარმოებია.

3. საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ მ. მ-ის მიმართ, დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე 2021 წლის 02 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება.

უდავოდ დადგენილადაა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4. ა. ბ-ა და ადვოკატ მ. მ-ს შორის 2018 წლის 26 ნოემბერს დაიდო საადვოკატო მომსახურების შესახებ N02-13-18 ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ადვოკატს ევალებოდა ა. ბ-ს იურიდიული მომსახურების გაწევა საექსტრადიციო სისხლისსამართლებრივ საქმეზე გამოძიების სტადიაზე, პირველ და საკასაციო ინსტანციაში.

4.1.კლიენტმა ადვოკატს სრულად გადაუხადა წერილობითი ხელშეკრულებით შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების თანხა, სულ - 5 000 აშშ დოლარი. ადვოკატ-კლიენტს შორის საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატს კლიენტისთვის თანხა/თანხის ნაწილი არ დაუბრუნებია და არ უწარმოებია კლიენტის მიერ გადახდილ

საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით სრული და ზუსტი ჩანაწერი.

4.2 ადვოკატ მ. მ-ს სრულად არ შეუსრულებია N02-13-18 საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

4.3 ადვოკატ-კლიენტს შორის საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატმა მ-ა მ-მ კლიენტს დაუბრუნა მხოლოდ მის მიერ გადაცემული და ნოტარიულად დამოწმებული ნათარგმნი დოკუმენტები. იმ განცხადებების, შუამდგომლობებისა და მიმართვების დედნები, რომლებიც კლიენტის სახელით, ადვოკატმა პირადად შეადგინა და შეიტანა სხვადასხვა ორგანოში, თავად დაიტოვა.

4.4 ადვოკატი მ. მ-ე კლიენტს ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სისტემატურად ხვდებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილ სადავო ფაქტად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5. ადვოკატმა მ. მ-მ ა. ბ-ს შეთანხმებული მომსახურება სრულად ვერ გაუწია და ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტიდან გონივრულ ვადაში, კლიენტს არ დაუბრუნა გამოუმუშავებელი თანხა.

5.1 ა. ბ-ა და ადვოკატ მ. მ-ს შორის დადებული საადვოკატო მომსახურების N02-13-18 ხელშეკრულებით ადვოკატ მ. მ-ს ევალებოდა ა. ბ-ს იურიდიული მომსახურების გაწევა საექსტრადიციო სისხლისსამართლებრივ საქმეზე გამოძიების სტადიაზე, პირველ და საკასაციო ინსტანციაში. თუმცა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ისე შეწყდა, რომ საექსტრადიციო სისხლის სამართლებრივ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება არ იყო მიღებული.

5.2 ადვოკატ-კლიენტს შორის საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატმა მ. მ-მ კლიენტს დაუბრუნა მხოლოდ მის მიერ გადაცემული და ნოტარიულად დამოწმებული ნათარგმნი დოკუმენტები. იმ განცხადებების, შუამდგომლობებისა და მიმართვების დედნები, რომლებიც კლიენტის ადვოკატმა პირადად შეადგინა და შეიტანა სხვადასხვა ორგანოში, თავად დაიტოვა.

5.3 ადვოკატ მ. მ-ს N02-13-18 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული თანხა სამართლიანად არ გამოუმუშავებია, რადგან აღებული ვალდებულება სრულად არ შეუსრულებია და არც გამოუმუშავებელი თანხა არ დაუბრუნებია კლიენტისთვის.

5.4 მ. მ-ს არ შეუსრულებია კლიენტის მითითება და საექსტრადიციო საქმეზე, მის სასარგებლოდ არ გაუსაჩივრებია სასამართლო აქტები, რუსეთის ფედერაციიდან გამოთხოვილი და ნათარგმნი სისხლის სამართლის საქმის მასალები არ დაურთო საქმეს და არ დაუკავშირდა იმ მოწმეებს, ვინც სასამართლოს მისცემდნენ კლიენტისათვის სასარგებლო ჩვენებას.

6. განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა მ. მ-მ დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 , მე-5, მე-8, მე-12, და მე-15 ნაწილები.

7. განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ მ. მ-ს არ დაურღვევია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება:

8. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე N1--/19, დადგინდა ადვოკატ მ. მ-ს მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.

ადვოკატის საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

9. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 23 დეკემბრის №1--/19 გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, კანონით დადგენილი ვადის დაცვით, გაასაჩივრა ადვოკატმა მ. მ-მ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, ა. ბ-ს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

9.1 საჩივრის ავტორის განმარტებით, ეთიკის კომისიამ არასწორად შეაფასა, რომ ხელშეკრულების შედეგად მიღებული თანხა ავანსია, რომლის ხარჯთაღრიცხვის ვალდებულებაც ეკისრებოდა მას, ვინაიდან განსაზღვრული წარმოადგენდა ჰონორარს, საადვოკატო მომსახურების საფასურს და მკაფიოდ იყო განსაზღვრული, რომ აღნიშნულ თანხას კლიენტი იხდიდა იურიდიულ მომსახურებისათვის. ასევე იგი სისხლის სამართლის საქმეზე მუშაობის პარალელურად, კლიენტის თხოვნით, ზეპირსიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, გადახდილი ჰონორარის ფარგლებში წარმართავდა ადმინისტრაციული საქმეს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიაში.

9.2 ადვოკატის განმარტებით, ეთიკის კომისიამ არასწორად შეაფასა ის ფაქტი, რომ მან თითქოს არ დაკითხა მოწმეები და არ შეასრულა კლიენტის მითითებები. ვინაიდან მოწმეები პროცესუალურად არ იკითხებიან სასამართლოში აღკვეთი ღონისძიების სხდომაზე. კლიენტს არ მიუთითებია მოწმეები, რომელთა გამოკითხვაც შესაძლებელი იქნებოდა, ვინაიდან ასახელებდა რუსეთის ფედერაციაში მყოფ პირებს, მათი გამოკითხვა კი, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

9.3. ადვოკატის მოსაზრებით, ეთიკის კომისიის მიერ არასწორია იმის დადასტურება, რომ თითქოს მან არ გადასცა კლიენტს დოკუმენტაცია. მან კლიენტს გადასცა სრული დოკუმენტაცია, მათ შორის მის მიერ შედგენილი დოკუმენტების ასლები.

9.4 ადვოკატის განმარტებით, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმგვარადაა დასაბუთებული, რომ კლიენტის მიერ მითითებული ყველა გარემოება მიიჩნევა დადასტურებულად, თუ ადვოკატი არ დაადასტურებს საპირისპიროს. ამ დამოკიდებულებით საქმის გარემოება და ეთიკის ნორმათა დარღვევის დადგენა ვერ იქნება გამართლებული.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პოზიცია:

10. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა გაიზიარა №1--/19 დისციპლინურ საქმეზე ეთიკის კომისიის 2024 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება, როგორც სამართლებრივი დასაბუთების, ასევე - გამოყენებული სახდელის ნაწილში და ადვოკატის საჩივრის უარყოფა მოითხოვა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატ მ. მ-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

12. სადისციპლინო პალატა, უპირველესად, განმარტავს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა საჩივრის ავტორს მის მიერ განხორციელებული შედავების გათვალისწინებით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის რელევანტურობას განუმარტავს.

13. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის ძირითადი პრეტენზია იმ გარემოებას შეეხება, რომ ეთიკის კომისიამ დაადგინა მის მიერ საადვოკატო საქმიანობის მომსახურების თანხის გამოუმუშავებელი ნაწილისა და საქმის ყველა მასალის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულების დარღვევა, მომჩივნის განმარტებით, ეთიკის კომისიამ არ გაითვალისწინა, რომ თანხა წარმოადგენდა ჰონორარს, საადვოკატო მომსახურების საფასურს და მკაფიოდ იყო განსაზღვრული, რომ აღნიშნულს კლიენტი იხდიდა იურიდიულ მომსახურებისათვის. ასევე სისხლის სამართლის საქმეზე მუშაობის პარალელურად,

კლიენტის თხოვნით, ზეპირსიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, გადახდილი ჰონორარის ფარგლებში წარმართავდა საქმეს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიასა და სხვა ადმინისტრაციული სახელმწიფო უწყებებში. რაც შეეხება საქმის მასალების დაბრუნებასა და კლიენტის მითითებების შეუსრულებლობას, მან დააბრუნა ყველა დოკუმენტი, მათ შორის - მის მიერ შედგენილი დოკუმენტების ასლები და ასრულებდა ყველა მითითებას, რომელიც აღნიშნული საქმისათვის რელევანტური იყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო გარემოებათა სწორი და სათანადო შეფასების გარეშე და უსაფუძვლოდ დააკისრა სახდელი.

14. **შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიმართ შეფარდებული სახდელის - გაფრთხილების მართლზომიერება. ამ მხრივ კი, სადავო შემთხვევაში შეფასების საგანია დაირღვა თუ არა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტით ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის, დოკუმენტების კლიენტისათვის დაბრუნებისა და კლიენტის მითითებით მოქმედების ეთიკური ვალდებულება.**

15. აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია სადავო საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა სისწორის შესახებ ადვოკატ მ. მ-ს საჩივარში კვალიფიციური შედავება განხორციელებული არ არის და რაც რაიმე მტკიცებულებაა წარმოდგენილი რაც სადისციპლინო პალატას მათ სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს შეუქმნიდა. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

16. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადვოკატ მ. მ-ა და კლიენტ ა. ბ-ს შორის 2018 წლის 26 ოქტომბერს საადვოკატო მომსახურების შესახებ დაიდო N02-13-18 ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ადვოკატს ევალებოდა ა. ბ-ს იურიდიული მომსახურება საექსტრადიციო სისხლისსამართლებრივ საქმეზე, გამოძიების სტადიაზე პირველ და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, რომლის საფასურიც განისაზღვრა - 5000 აშშ (ხუთი ათასი) დოლარით და კლიენტმა გადაიხადა სრულად.

17. ასევე დადგენილია, რომ მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა ადვოკატის სურვილით ისე, რომ საექსტრადიციო სისხლისსამართლებრივ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება არ იყო მიღებული და მ. მ-მ კლიენტს დაუბრუნა საქმის მასალების ნაწილი.

18. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრია. ამავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.

19. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-

8 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტების თანახმად, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა, ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის; ამავე მუხლის მე-12 და მე-15 პუნქტების მიხედვით კი - ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმისწარმოების ხარჯებთან დაკავშირებით. კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმისწარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს, გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.

20. სადისციპლინო პალატა მიუთითებსა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდისა და სხვა დამატებითი პირობების თაობაზე, რაც მნიშვნელოვანია კლიენტისთვის, ხოლო „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის საქმიანობის ანაზღაურების წესსა და პირობებს, ადგენს კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, კლიენტისათვის ფულადი სახსრის დაბრუნების ვალდებულებას გასამრჯელოს გამოქვითვით.

21. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადვოკატ მ. მ-ა და ა. ბ-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2018 წლის 26 ნოემბერს. ადვოკატ მ.მ-ს კლიენტის ინტერესები უნდა წარმოედგინა სისხლისსამართლებრივ საექსტრადიციო საქმეზე გამოძიების, პირველ და საკასაციო ინსტანციებში, თუმცა კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობა შეწყდა ადვოკატის მხრიდან საექსტრადაციო საქმის დამთავრებამდე, ასევე საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება რომელიც დაადასტურებდა, რომ ადვოკატისათვის გადახდილი მომსახურების საფასური, 5000 აშშ დოლარი, კლიენტთან შეთანხმებით, მოიცავდა სხვა, კერძოდ, ჟურნალისტთა ქარტიასა და ადმინისტრაციულ ორგანოებში მის მიერ გაწეული მომსახურების საფასურსა, სადისციპლინო პალატა იზიარებს ადვოკატთა ეთიკის კომისიის მსჯელობას, იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული ავანსის სხვა საადვოკატო მომსახურებაზე გავრცელების შესახებ კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და მასთან შეთანხმების არსებობის მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს, ასევე აღნიშნავს, რომ ადვოკატს უფლება აქვს, მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებსა და საზოგადოებაში ადვოკატის როლისა და ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან, იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით და თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში, ამდენად, მ-ა მ-ს N02-13-18 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული თანხა სამართლიანად არ გამოუმუშავებია, რადგან აღებული ვალდებულება სრული მოცულობით არ შეუსრულებია და არც გამოუმუშავებელი თანხა არ დაუბრუნებია კლიენტისთვის.

22. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ასევე სადავოა ადვოკატის მიერ საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური სტანდარტის ვალდებულების დარღვევა. პალატა მიუთითებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 პუნქტზე, რომლის თანახმად, კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისაგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. ამდენად, საადვიკატო მომსახურების გაწევის შეწყვეტა წარმოშობს ადვიკატის ვალდებულებას, სრულად და გონივრულ ვადაში დაუბრუნოს კლიენტს საქმის წარმოების ფარგლებში მიღებული დოკუმენტები.

23. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ადვოკატმა ა. ბ-ს გადასცა კლიენტის მიერ გადაცემული და ნოტარიულად დამოწმებული ნათარგმნი დოკუმენტები და მის მიერ შედგენილი განცხადებების, შუამდგომლობებისა და მიმართვების ასლები, ხოლო დედნები მ. მ-მ თავად დაიტოვა. სადისციპლიონო პალატა, ადვოკატის ეთიკური ვალდებულების და მისი სტატუსის მხედველობაში მიღებით, აღნიშნავს, რომ სწორედ ადვოკატმა უნდა ამტკიცოს დოკუმენტის კლიენტისათვის დროულად და სრულად დაბრუნების ფაქტი. სადავო შემთხვევაში კი, ადვოკატს არ შეუდგენია დოკუმენტების მიღება-ჩაბარების აქტი, ასევე, არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომ სრულყოფილად დააბრუნა გადაცემული დოკუმენტაცია. ამდენად სადისციპლინო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს საჩივრის ავტორის მიერ საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულების დარღვევას.

24. პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ ადვოკატის განმარტებით, სრულად არ აღუნუსხავს კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯები, მაშინ როდესაც „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლი 12 პუნქტის თანახმად, ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით. შესაბამისად აღნიშნული მუხლი ადგენს ვალდებულებას ადვოკატის მიერ საქმის წარმოების ხარჯების სრული და ზუსტი აღრიცხვის შესახებ, რაც მოცემულ შემთხვევაში მ. მ-ს არ განუხორციელებია.

25. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ოდენობის შესახებ რაიმე მოწესრიგებას ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი ან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი *(დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 2006 წლის 15 აპრილს)* არ შეიცავს. ამაზე ყურადღების გამახვილება პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია იმის გათვალისწინებით, რომ მაგალითად, ევროგაერთიანების ადვოკატთა (CCBE) ქცევის მოდელური კოდექსი, რომელიც სახელმძღვანელოა ევროგაერთიანებისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის ადვოკატთათვის, აწესრიგებს ჰონორარის საკითხს; კერძოდ, 3.4 პუნქტით დადგენილია, რომ: 3.4.1. ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი სრულად უნდა გაუმჟღავნდეს კლიენტს და უნდა იყოს სამართლიანი და ზომიერი. 3.4.2. ადვოკატსა და კლიენტს შორის სხვაგვარი

შეთანხმების არსებობის გარდა, ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი ექვემდებარება რეგულირებას იმ ადვოკატურისა თუ იურიდიული საზოგადოების წესების შესაბამისად, რომელსაც ადვოკატი მიეკუთვნება. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.3 მუხლი უკრძალავს ადვოკატს აწარმოოს ე.წ. Pactum Quota de Litis (3.3.1 ქვეპუნქტი), რაც ნიშნავს 3.3.2. შეთანხმებას ადვოკატსა და კლიენტს შორის, რომელიც დადებულია იმ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, რომელშიც კლიენტი ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს და რომლის საფუძველზე კლიენტი იღებს ვალდებულებას ადვოკატს გადასცეს წილი საქმის შედეგიდან, მიუხედავად იმისა, თუ წილი თანხას ან სხვა სარგებელს წარმოადგენს, რომელსაც კლიენტი საქმის გადაწყვეტისას მიიღებს. 3.3.3 Pactum Quota de Litis არ მოიცავს შეთანხმებას, რომლის თანახმად, ჰონორარი გამოიანგარიშება ადვოკატის მიერ აღებული საქმის ღირებულების საფუძველზე, ოფიციალურად დამტკიცებული ჰონორარების სისტემის ან ადვოკატზე იურისდიქციის მქონე კომპეტენტური ორგანოს კონტროლის ქვეშ *(სუსგ №ას-894-2021, 23.12 .2021 წ.).*

26. სადისციპლინო პალატა ამახვილებს ყურადღებას მასზედ, რომ უშუალოდ ამ საკითხზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა (იხ.დს-შ/17-16 სსდ-01-25).

27. სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის შედავებას იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის არასწორად იყო გადანაწილებული მტკიცების ტვირთი და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვითაც, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. ამტკიცებს ის, ვინც ამტკიცებს და არა ის, ვინც უარყოფს.

28. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, დოქტრინის მიხედვით, ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დადების მიზანია საზოგადოების დაცვა, სამართლებრივი სისტემის მთლიანობის დაცვა, მართლმსაჯულების სამართლიანად უზრუნველყოფა და სხვა ადვოკატების მსგავსი გადაცდომისგან შეკავება *(მაგ., Gillette v. Edison, 593 F. Supp. 2d 1063, 1066 (D.N.D. 2009)).*

29. ამდენად, სადისციპლინო პალატა იზიარებს ადვოკატთა ეთიკის კომისიის შეფასებას მასზე, რომ მ. მ-ს მიერ დარღვეულია **„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 , მე-5, მე-8, მე-12, და მე-15 ნაწილები.**

30. ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. ამავე კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება.

31. პალატას მიაჩნია, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. მ. მ-ს მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნა. შესაბამისად, ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია. სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის - გაფრთხილებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომების შინაარსი, სიმძიმე და დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის შესაბამისია.

32. სადისციპლინო პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფზე, რაც ავალდებულებს სასამართლოს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, თუმცა იგი არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად *(იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, #7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).*

33. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ადვოკატ მ. მ-ს საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ მ. მ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 23 დეკემბრის №--/19 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **თეა ძიმისტარაშვილი**

მოსამართლეები: **მირანდა ერემაძე**

გოჩა აბუსერიძე